სამხედრო ხელმძღვანელობა

პროგრამის მიზანია იუნკერმა შესძლოს თავდაცვის ძალებში მოქმედი სამხედრო ხელმძღვანელობის ფუნდამენტური პრინციპების თეორიულად შესწავლა.

იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს, სამხედრო ხელმძღანელობის, როგორც ცალკეული დისციპლინის შესწავლას.

აღნიშნული პროგრამა მოიცავს, თავდაცვის ძალებში არსებული სამხედრო ხელმძღანელობის საგნის შესწავლას თეორიულად.

იუნკერები შეისწავლიან სამხედრო ხელმძღვანელობის საფუძვლებს და გაეცნობიან მართვის და ლიდერობის დანიშნულებებს.

ასევე, იუნკერები შეისწავლიან მართვის სისტემებს. ამ პროცესში ყველაზე მეტი აქცენტი გაკეთდება ამოცანით მართვის ფილოსოფიის და საბრძოლო ფუნქციის შესწავლასა და პრაქტიკაში ინტეგრირებაზე.

პროგრამის დასრულების შემდეგ იუკნერს ექნება ნათლად ჩამოყალიბებული ცოდნა: ლიდერის კომპეტენციის, ლიდერის ხასიათისა და საქართველოს თავდაცვის ძალებში ლიდერის როლის შესახებ, ასევე ის წარმატებით შეძლებს მსჯელობას ლიდერთა ჯგუფებისა და ჯგუფების სტრუქტურის შსახებ და ბოლოს მას ექნება მკაფიო ცოდნა ამოცანით მართვის ფილოსოფიასა და საბრძოლო ფუნქციის სისტემასა და პრინციპებზე.